საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/170 “5” ოქტომბერი 2021 წ.

# განკარგულება

**„ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გოგატიშვილმა 2021 წლის 20 სექტემბერს წერილით აცნობა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილზე - ქ. გორში, არ აქვს საცხოვრებელი ბინა. აღნიშნულის გათვალისწინებით:

1. „ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნინო გოგატიშვილს.“.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი